

შპს როსტერ

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
5. სავაჭრო მოთხოვნები	10
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	10
7. ძირითადი საშუალებები	11
8. სავაჭრო ვალდებულებები.....	12
9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.....	12
10. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი	12
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
12. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	13
13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-22	31-12-21	31-12-20
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	1,990,996	1,370,286	961,356
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,098,579	3,892,691	1,434,501
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	845,894	3,249,219	1,756,896
სხვა მიმდინარე აქტივები		138	224	17,092
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,935,607	8,512,420	4,169,845
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	6,030,722	2,293,660	2,230,968
სულ გრძელევადიანი აქტივები		6,030,722	2,293,660	2,230,968
სულ აქტივები		9,966,329	10,806,080	6,400,813
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	501,937	681,530	102,871
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		519	150,925	153
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		502,456	832,455	103,024
გრძელევადიანი ვალდებულებები				
გრძელევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	955,735	1,200,000	603,876
სულ გრძელევადიანი ვალდებულებები		955,735	1,200,000	603,876
სულ ვალდებულებები		1,458,191	2,032,455	706,900
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	350,000	350,000
გაუნაწილებელი მოგება		8,508,138	8,423,625	5,343,913
სულ საკუთარი კაპიტალი		8,508,138	8,773,625	5,693,913
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,966,329	10,806,080	6,400,813

დირექტორი




ჯაბა პაპიძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	47,599,570	45,937,339
თვითღირებულების ხარჯი	10	(44,534,561)	(41,815,949)
საერთო მოგება		3,065,009	4,121,390
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(369,961)	(316,767)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(1,720,860)	(442,434)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(343,586)	(295,316)
სხვა შემოსავლები		22,360	42,418
სხვა ხარჯები		(2,046)	(2,249)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		650,916	3,107,042
საპროცენტო შემოსავალი		40,132	8,212
საპროცენტო ხარჯი		(110,882)	(43,029)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		(495,653)	7,487
მოგება დაბეგვრამდე		84,513	3,079,712
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		84,513	3,079,712

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი	350,000	5,343,913	5,693,913
წმინდა მოგება	-	3,079,712	3,079,712
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	350,000	8,423,625	8,773,625
წმინდა მოგება	-	84,513	84,513
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(350,000)	-	(350,000)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	8,508,138	8,508,138

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს როსტერი დაფუძნდა 2009 წელს და რეგისტრირებულია მისამართზე: გარდაბანი, სოფ. თელეთი. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 226579921.

კომპანიის მფლობელია შემდეგი ფიზიკური პირი: ჯაბა პაპიძე (პ/ნ 01016004437) – 100%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით, დაუმუშავებელი თამბაქოთი, თესვებით და ცხოველების საკვებით. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი ჯაბა პაპიძე (პ/ნ 31001040497), რომელიც აგრეთვე არის კომპანიის 100% წილის მფლობელიც.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების, გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

თარიღი	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა ნაგებობები	50
ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	3-10
კომპიუტერული ტექნიკა	3-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

3.4 ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.5 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება¹ თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულის ძირითადი ნაწილი განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, ხოლო ფულადი სახსრების ნაწილს ინახავს სალაროში.

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-22	31-12-21
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	1,659,849	720,757
ფულადი სახსრები სალაროში	331,147	649,529
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,990,996	1,370,286

5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები, 2022 წლის ბოლოს შედგება შედგება 430-ზე მეტი მყიდველისაგან ხოლო 2021 წლის ბოლოს 380-ზე მეტი მყიდველისაგან.

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-22	31-12-21
სავაჭრო მოთხოვნები	1,098,579	3,892,691
სულ სავაჭრო მოთხოვნები	1,098,579	3,892,691

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები დაყოფილია ნედლეული და მასალებად და მზა პროდუქციად.

მათი ნაშთები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-12-22	31-12-21
ნედლეული და მასალები	803,913	2,887,553
მზა პროდუქცია	41,981	361,666
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	845,894	3,249,219

7. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებზე 2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	-	2,715,317	2,715,317
დაუმთავრებელი მშენებლობა	522	707,487	708,009
შენობები	1,119,651	239,748	1,359,399
ნაგებობები	7,434	-	7,434
მანქანა-დანადგარები	227,882	27,719	255,601
ოფისის აღჭურვილობა	38,501	102	38,603
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7,724	-	7,724
სატრანსპორტო საშუალებები	1,533,942	382,546	1,916,488
სხვა ძირითადი საშუალებები	466,082	7,729	473,811
სულ	3,401,738	4,080,648	7,482,386
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობის ცვეთა	173,828	58,293	232,121
ნაგებობების ცვეთა	1,660	286	1,946
მანქანა-დანადგარების ცვეთა	66,525	28,107	94,632
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	13,590	5,237	18,827
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	2,221	1,189	3,410
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	642,900	213,396	856,296
სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა	207,354	37,078	244,432
სულ	1,108,078	343,586	1,451,664

ძირითად საშუალებებზე 2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	-	-	-
დაუმთავრებელი მშენებლობა	467	55	522
შენობები	1,001,816	117,835	1,119,651
ნაგებობები	6,652	782	7,434
მანქანა-დანადგარები	203,899	23,983	227,882
ოფისის აღჭურვილობა	34,449	4,052	38,501
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6,911	813	7,724
სატრანსპორტო საშუალებები	1,372,506	161,436	1,533,942
სხვა ძირითადი საშუალებები	417,030	49,052	466,082
სულ	3,043,730	358,008	3,401,738

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენიშნის ცვეთა	123,725	50,103	173,828
ნაგებობების ცვეთა	1,414	246	1,660
მანქანა-დანადგარების ცვეთა	42,367	24,158	66,525
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	9,089	4,501	13,590
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	1,199	1,022	2,221
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	459,484	183,416	642,900
სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა	175,484	31,870	207,354
სულ	812,762	295,316	1,108,078

8. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები 2022 წლისა და 2021 წლის ბოლოს შედგება 30-ზე მეტი მომწოდებლისაგან.

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-22	31-12-21
სავაჭრო ვალდებულებები	501,937	681,530
სულ სავაჭრო ვალდებულებები	501,937	681,530

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიას საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად აღებული აქვს სესხები ქართული კომერციული ბანკისგან. საშუალო ქვეყნური საპროცენტო განაკვეთია წლიური 12.55%.

10. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით, დაუმუშავებელი თამბაქოთი, თესლებით და ცხოველების საკვებით.

დარიცხული შემოსავალი და მიწოდებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2022	2021
შემოსავალი, საიდანაც:	47,599,570	45,937,339
შემოსავალი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან	48,179,929	46,497,431
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(580,359)	(560,092)
თვითღირებულება:	(44,534,561)	(41,815,949)
რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	(44,534,561)	(41,815,949)
საერთო მოგება	3,065,009	4,121,390

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
კომუნალური ხარჯი	109,487	77,063
იჯარის ხარჯი	106,605	109,272
გადასახადების ხარჯი	39,438	12,956
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯი	21,066	16,115
საოფისე ინვენტარის ხარჯი	9,579	8,484
საკომუნიკაციო ხარჯები	3,399	-
კომპიუტერის ხარჯები	3,351	-
დაზღვევის ხარჯი	1,400	1,400
რემონტისა და შენახვის ხარჯი	1,293	-
დაცვის მომსახურების ხარჯი	712	1,112
მარკეტინგის ხარჯი	50	3,119
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	73,581	87,246
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	369,961	316,767

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-22	31-12-21
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	1,589,102	408,559
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	131,758	33,875
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	1,720,860	442,434

13. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2022 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 1,589,102 ლარი, ხოლო 2021 წლის განმავლობაში 408,559 ლარი.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.

